ვაკის რაიონის გამგეობა

№ 07-24/13284899
11 10 2013 წ.

ი/მ „ვახტანგ ზესაშვილ"-ს

ბატონო ვახტანგ,

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის ვაკის რაიონის გამგეობის მიერ, კონკურსის მეშვეობით ავტობუსის გაჩერების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ესკიზური ნახაზების შედგენის საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციის მქონე კონკურსანტის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ ავტობუსის გაჩერების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ესკიზური ნახაზების შედგენის სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების ვებგვერდზე 2013 წლის 20 სექტემბერს (11:58 სთ) გამოცხადებულ (საკონკურსო განცხადების №963) კონკურსზე თქვენს მიერ წარმოდგენილია კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის ქვითარი, რომელშიც მითითებული არ არის საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტისა და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე თქვენს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე,

გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი **ჰენრი დოლიძე**

თბილისი 0177, თამარაშვილის №10ა, ტელ. (+995 32) 231 88 25, (995 32) 231 88 36 www. Tbilisi.gov.ge